

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კანონი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ თავი I

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი

1. განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
შემოსავლები	627 751.7	685 100.0	816 795.7
გადასახადები	609 385.6	660 000.0	800 000.0
გრანტები	0.0	0.0	0.0
სხვა შემოსავლები	18 366.0	25 100.0	16 795.7
ხარჯები	556 881.4	722 887.2	796 533.6
შრომის ანაზღაურება	61 141.2	74 427.0	83 567.7
საქონელი და მომსახურება	74 643.7	94 309.5	101 729.0
პროცენტი	1 778.0	5 241.9	2 895.1
სუბსიდიები	16 979.1	19 099.9	19 967.6
გრანტები (გაცემული)	277 418.8	361 095.0	383 125.3
სოციალური უზრუნველყოფა	58 278.7	64 434.6	69 168.0
სხვა ხარჯები	66 642.1	104 279.3	136 080.9
საოპერაციო სალდო	70 870.2	-37 787.2	20 262.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	64 525.7	-14 586.0	31 045.2
ზრდა (შემცირება)	87 361.2	165 634.0	186 045.2
კლება (გაყიდვა)	22 835.5	180 220.0	155 000.0
მთლიანი სალდო	6 344.4	-23 201.2	-10 783.1
ფინანსური აქტივების ცვლილება	-12 752.8	-43 200.0	-30 204.3
ზრდა	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0
კლება	12 752.8	43 200.0	30 204.3
ვალუტა, დეპოზიტები	12 752.8	43 200.0	30 204.3
ვალდებულებების ცვლილება	-19 097.3	-19 998.8	-19 421.2
ზრდა	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0
კლება	19 097.3	19 998.8	19 421.2
სესხები	19 097.3	19 998.8	19 421.2
ბალანსი	0.0	0.0	0.0



2. განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
შემოსულობები	650 587.1	865 320.0	971 795.7
შემოსავლები	627 751.7	685 100.0	816 795.7
არაფინანსური აქტივების კლება	22 835.5	180 220.0	155 000.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	663 340.0	908 520.0	1002 000.0
ხარჯები	556 881.4	722 887.2	796 533.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	87 361.2	165 634.0	186 045.2
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	19 097.3	19 998.8	19 421.2
ნაშთის ცვლილება	-12 752.8	-43 200.0	-30 204.3

თავი II

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები
განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები 816795.7 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
შემოსავლები	627 751.6	685 100.0	816 795.7
გადასახადები	609 385.6	660 000.0	800 000.0
გრანტები	0.0	0.0	0.0
სხვა შემოსავლები	18 366.0	25 100.0	16 795.7

მუხლი 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადები
განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადები 800000.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

		2024 წლის		
--	--	-----------	--	--



კოდი	დასახელება	ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
11	გადასახადები	609 385.6	660 000.0	800 000.0
111	გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე	609 385.6	660 000.0	800 000.0
1111	ფიზიკური პირებიდან	609 385.6	660 000.0	800 000.0
11111	საშემოსავლო გადასახადი	609 385.6	660 000.0	800 000.0

მუხლი 4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გრანტები

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
13	გრანტები	0.0	0.0	0.0
131	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0.0	0.0	0.0
1311	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	0.0	0.0	0.0

მუხლი 5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 16795.7 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
14	სხვა შემოსავლები	18 366.0	25 100.0	16 795.7
141	შემოსავლები საკუთრებიდან	12 573.1	19 263.7	11 189.4
1411	პროცენტები	10 770.8	17 946.2	10 000.0
14115	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	10 770.8	17 946.2	10 000.0
1412	დივიდენდები	0.0	100.0	200.0
14121	სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები	0.0	100.0	200.0
1415	რენტა	1 802.3	1 217.5	989.4
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	705.3	717.5	489.4
14155	სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავლები	1 096.9	500.0	500.0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1 634.3	826.3	586.3
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	10.9	0.0	0.0



14222	სალიცენზიო მოსაკრებლები	2.4	0.0	0.0
14223	სანებართვო მოსაკრებლები	8.4	0.0	0.0
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.1	0.0	0.0
142299	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1 623.4	826.3	586.3
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	1 623.4	826.3	586.3
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	8.9	10.0	20.0
144	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	4 149.8	5 000.0	5 000.0

თავი III

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები 796533.6 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
ხარჯები	556 881.4	722 887.2	796 533.6
შრომის ანაზღაურება	61 141.2	74 427.0	83 567.7
საქონელი და მომსახურება	74 643.7	94 309.5	101 729.0
პროცენტი	1 778.0	5 241.9	2 895.1
სუბსიდიები	16 979.1	19 099.9	19 967.6
გრანტები (გაცემული)	277 418.8	361 095.0	383 125.3
სოციალური უზრუნველყოფა	58 278.7	64 434.6	69 168.0
სხვა ხარჯები	66 642.1	104 279.3	136 080.9

მუხლი 7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 31045.2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 186045.2 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
------	------------	-----------------	-----------------	-----------------



101	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	136.6	1 643.0	1 115.7
102	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	60.8	0.0	0.0
103	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	86.6	350.0	800.0
104	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	46 489.0	99 308.8	117 741.6
105	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო	38 521.9	49 452.2	52 100.2
106	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	91.3	206.7	296.2
107	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1 975.0	4 840.8	7 802.6
108	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო	0.0	9 832.5	6 188.9
109	საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	0.0	0.0	0.0
სულ		87 361.2	165 634.0	186 045.2

ბ) განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 155000.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივები	22 835.5	180 220.0	155 000.0
311	ძირითადი აქტივები	797.2	5 000.0	5 000.0
314	არამწარმოებლური აქტივები	22 038.3	175 220.0	150 000.0

მუხლი 8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 982 578.8 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	348 231.4	471 886.6	522 404.7
7011	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო	69 379.2	113 486.3	144 385.8



	ურთიერთობები			
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	11 270.9	16 520.1	17 564.6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	58 085.7	96 935.2	126 790.2
70113	საგარეო ურთიერთობები	22.5	31.0	31.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	3 335.8	4 009.8	4 392.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	1 778.0	5 241.9	2 895.1
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის	269 685.8	347 495.5	369 078.6
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	4 052.7	1 653.1	1 653.2
704	ეკონომიკური საქმიანობა	88 021.1	129 435.8	135 339.4
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	24 236.1	29 227.1	32 016.9
70421	სოფლის მეურნეობის სექტორის მართვასთან, ვეტერინარული, მცენარეთა დაავადებების საწინააღმდეგო და სხვა მომსახურება	17 588.3	20 211.4	19 943.4
70422	სატყეო მეურნეობა	6 647.9	9 015.7	12 073.5
7045	ტრანსპორტი	45 368.7	70 451.8	73 018.5
70451	საავტომობილო ტრანსპორტი	42 998.8	67 183.8	71 168.6
70455	მილსადენი და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	2 369.9	3 268.0	1 849.9
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	13 966.9	20 494.0	21 215.0
70473	ტურიზმი	13 966.9	20 494.0	21 215.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ სფეროში	4 449.4	9 263.0	9 089.0
705	გარემოს დაცვა	3 211.1	5 409.7	6 754.1
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	53.4	54.7	54.7
7056	სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები გარემოს დაცვის სფეროში	3 157.7	5 355.0	6 699.4
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	4 140.3	30 000.0	51 137.1
7061	ბინათმშენებლობა	4 140.3	30 000.0	51 137.1
707	ჯანმრთელობის დაცვა	46 355.5	60 707.1	65 533.2
7072	ამბულატორიული მომსახურება	9 184.5	10 684.8	14 719.2
7073	საავადმყოფოების მომსახურება	29 508.0	39 104.0	38 701.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	2 365.5	3 797.5	3 993.0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	5 297.5	7 120.8	8 120.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	53 145.1	65 644.0	64 835.8
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	24 527.5	27 078.7	26 828.3
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	22 288.8	26 364.9	29 461.3
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	418.5	525.1	568.5



7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	5 910.2	11 675.3	7 977.7
709	განათლება	76 291.3	105 645.1	115 107.7
7092	ზოგადი განათლება	12 658.9	13 123.6	13 081.9
7093	პროფესიული განათლება	77.7	80.0	145.0
7094	უმადლესი განათლება	8 881.1	15 550.0	16 167.3
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	54 673.5	76 891.5	85 713.5
710	სოციალური დაცვა	24 846.9	19 792.9	21 466.8
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	1 363.0	1 318.2	1 525.7
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	49.5	105.0	350.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	10 730.2	12 535.4	13 537.4
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	12 704.2	5 834.4	6 053.7
სულ		644 242.7	888 521.2	982 578.8

თავი IV

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო
განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო (-10783.1) ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (-30204.3) ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0
ვალუტა, დეპოზიტები	0.0	0.0	0.0

ბ) განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 30204.3 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)



დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	12 752.8	43 200.0	30 204.3
კლება	12 752.8	43 200.0	30 204.3
ვალუტა, დეპოზიტები	12 752.8	43 200.0	30 204.3

მუხლი 11. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-19421.2) ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 0.0 ლარის ოდენობით:

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0

ბ) განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებათა კლება 19421.2 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	-19 097.3	-19 998.8	-19 421.2
კლება	19 097.3	19 998.8	19 421.2
სესხები	19 097.3	19 998.8	19 421.2

თავი V

ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 12. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები (ქვეპროგრამები) შემდეგი რედაქციით:

1. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძლიერი წარმომადგენლობითი ორგანოს გამართული ფუნქციონირება, ვინაიდან იგი არის რეგიონის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი, საკანონმდებლო და მაკონტროლებელი ფუნქციების მქონე ხელისუფლების შტო.

1.1. საკანონმდებლო საქმიანობა

კომპეტენციის ფარგლებში საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელება, კონტროლი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობაზე.



საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

2. საარჩევნო გარემოს განვითარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების, კონსტიტუციითა და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით ვადებში დაგეგმვა და გამართვა. არჩევნების სამართლებრივი, ორგანიზაციული, ფინანსური და ტექნიკური უზრუნველყოფა. საარჩევნო კამპანიის წარმართვა დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების ჩატარების მიზნით.

2.1. საარჩევნო სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება

საარჩევნო მიზნებისათვის პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა; საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესების, მასში თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინების, საარჩევნო ადმინისტრაციის ფუნქციონირებისა და საარჩევნო პროცესის მუდმივი სრულყოფის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

3. აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა

რეგიონის ინსტიტუციური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია აღმასრულებელი ორგანოს გამართული ფუნქციონირება.

3.1. მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების პირობების შექმნა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის განხორციელება;

მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი და ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა;

მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის განხორციელება.

მთავრობის თავმჯდომარის თანამშრომლობის ხელშეწყობა სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის დაწესებულებებთან.

4. რეგიონის ფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა

ეფექტიანი და გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების მოქნილ მართვას, სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბებას, აგრეთვე სახელმწიფო სახსრების ეკონომიურ და ეფექტიანად ხარჯვაზე მონიტორინგს.

ელექტრონული ხაზინის ძირითადი ექსპლუატაცია. რეგიონში ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით წინადადებების შემუშავება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების გამჭვირვალედ და ეფექტიანად მართვა, მისი სრულყოფილად აღრიცხვა, მოვლა-პატრონობა და პრივატიზაცია. რეგიონის, მუნიციპალიტეტებისა და დასახლებების სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების ხელშეწყობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, გენდერულად მგრძნობიარე და გენდერულად პასუხისმგებლიანი ინფრასტრუქტურის მოწყობა. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა. ბიზნესინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა. საფრთხის შემცველი ობიექტების მონიტორინგი და მართვა.

4.1. ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საფინანსო სისტემის მართვა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების უზრუნველყოფა.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდის მიზნით ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად შემუშავება და წარმართვა.

ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო საქმიანობის პოლიტიკის განხორციელება. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების დოკუმენტების შემუშავების პროცესის წარმართვა.

4.2. რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა

რეგიონის საინვესტიციო-საპრივატიზაციო პროცესის სრულყოფა;

რეგიონის, როგორც საინვესტიციოდ მიმზიდველი ადგილის ცნობადობის ამაღლება;

ქონების მართვისა და პრივატიზების პროცესის ეფექტური ადმინისტრირება.

4.2.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვა

ელექტრონული აუქციონების განცხადების განთავსებისა და ვაჭრობის პროცესის უზრუნველყოფის



მომსახურების შეძენა; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების დაცვის მიზნით დარაჯების (ყარაულები) დროებით სამუშაოზე აყვანა; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სხვადასხვა ორგანიზაციისგან დაცვითი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა; სახელმწიფო ქონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების საბაზრო ღირებულებისა და საიჯარო ღირებულების დადგენა; სახელმწიფო ქონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მოვლა-პატრონობა და შენახვა.

4.2.2. რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საინვესტიციო პოტენციალის ცნობადობის გაზრდა.

რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის შესახებ საპრომოუშენო მასალების მომზადება;

რეგიონის შიგნით და გარეთ საინვესტიციო შეხვედრების და ღონისძიებების ორგანიზება, მონაწილეობის უზრუნველყოფა და რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის წარმოჩენა.

4.3. ქალაქთმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიების ურბანული განვითარების ხელშეწყობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება. მთის კურორტებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა. გენდერულად მგრძნობიარე და გენდერულად პასუხისმგებლიანი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

4.3.1. სივრცითი მოწყობის, დასახლებათა დაგეგმვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის გარდა) ტერიტორიებზე შემუშავებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების სისტემური რევიზია, განახლება და განხორციელებაზე მონიტორინგი.

4.3.2. აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება
აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება, მათი პოპულარიზაციის გაზრდა, საინვესტიციო გარემოს შექმნაზე ხელშეწყობა, მთის რეგიონის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა გენდერული ასპექტების გათვალისწინებით.

4.3.3. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა

აჭარის რეგიონში ახალი ტურისტული დანიშნულების ადგილების განვითარების ხელშეწყობა გენდერული ასპექტების გათვალისწინებით.

4.4. სახაზინო მომსახურება

ელექტრონული ხაზინის ძირითადი ექსპლუატაცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულება, მისი შემოსულობების და გადასახდელების ზუსტი და ოპერატიული აღრიცხვა.

ბიუჯეტის ოპერატიული, ყოველთვიური, ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება.

4.5. დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა

ინკუბირებული კომპანიების საქმიანობის ხელშეწყობა-მონიტორინგი და ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო სერვისების და რესურსების მიწოდება. დამწყები და განვითარებადი ბიზნესისთვის ბაზარზე ცნობადობის ამაღლება.

4.6. ბიზნესინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრების ინტერესების დაცვა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებაში. სტრუქტურული გაძლიერება;

სერვისების დახვეწა, ბიზნესმენებისა და ინვესტორების საქმიანობისათვის ხელშეწყობა.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ბიზნესასოციაციების გაძლიერება და პალატის რესურსების მობილიზება ამ მიზნების მისაღწევად, ბიზნესში ქალთა ჩართულობის მნიშვნელობის გაზრდა.

აჭარის რეგიონის ბიზნესგარემოს გაუმჯობესება.

4.7. საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა

საფრთხის შემცველი ობიექტების ტექნიკური დიაგნოსტიკების ჩატარება, სამშენებლო მასალებსა და პროდუქციაზე გამოცდების ჩატარება.

მზა ბეტონის სიმტკიცის განსაზღვრა კუმშვაზე, ბეტონის საკედლე ქვების სიმტკიცის განსაზღვრა კუმშვაზე, არამადნეული მასალების, მოსაპირკეთებელი და საგზაო მასალების ხარისხის შემოწმება; არმირების პარამეტრების და არმატურის კოროზიის ხარისხის დადგენა ურღვევი მეთოდით, საავტომობილო გზების ასფალტისა და ასფალტბეტონის საფარის გეომეტრიული პარამეტრების დადგენა და მისი სიმტკიცის მახასიათებლების განსაზღვრა ურღვევი მეთოდით, ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დადგენა კერნის ამოღებით და მისი ლაბორატორიაში შემდგომი



დამუშავებით. მიწისა და შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შედგენა და საბაგირო გზის ბაგირის შემოწმება.

5. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტრატეგიული გეგმის მიხედვით, დეპარტამენტის 2026-2029 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაა, რაც გულისხმობს ტურიზმისა და კურორტების სფეროში ეფექტური პოლიტიკის გატარებას და რეგიონის ტურიზმისა და კურორტების განვითარების ხელშეწყობას, რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების გამოვლენას, ტურისტული პროდუქტების გამრავალფეროვნებას და რეგიონის ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო და შიდა ბაზარზე, ურთიერთთანამშრომლობითა და ინოვაციური ინიციატივებით პარტნიორებისა და დაინტერესებული პირების დახმარებას ხარისხის სტანდარტის ამაღლებაში.

5.1. ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ტურიზმისა და კურორტების სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარება და დარგის საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღება.

ქვეყანაში ტურიზმისა და კურორტების სფეროს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

ტურიზმისა და კურორტების სფეროებში განსახორციელებელი პროგრამების შესრულების კოორდინაცია და მართვა.

რეგიონში დარგის განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მონაცემების მოგროვება და ანალიზი.

5.1.1. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მართვა

ქვეყანაში ტურიზმისა და კურორტების სფეროს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

ტურიზმისა და კურორტების სფეროებში განსახორციელებელი პროგრამების შესრულების კოორდინაცია და მართვა.

5.1.2. დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოება

რეგიონში დარგის განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მონაცემების მოგროვება და ანალიზი.

ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევა, უცხოელ ტურისტთა ბაზრის კვლევა, ტურისტების ვიზიტის აღწერა, მათი კმაყოფილების დონისა და მოთხოვნების კვლევა. სტატისტიკური ანალიზი.

5.2. აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე.

რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის, ცნობადობის ამაღლება;

რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ბაზარზე;

5.2.1. რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზრებზე

საერთაშორისო ბაზარზე რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი და რეკლამირება;

მიზნობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე (აზერბაიჯანი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, გერმანია, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, სკანდინავიის ქვეყნები, ესტონეთი, თურქეთი, ისრაელი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, საუდის არაბეთი, საფრანგეთი, სომხეთი, უკრაინა, უნგრეთი, ფინეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ჩეხეთი, ავსტრია, შვეიცარია, ამერიკა, აზიის ქვეყნები და სხვა) სარეკლამო და პიარკამპანიების წარმოება სატელევიზიო რეკლამის, ინტერნეტრეკლამის, ბეჭდური მედიის, გარე რეკლამისა და სხვა სარეკლამო საშუალებების გამოყენებით; საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში, კონფერენციებში, სემინარებში, ფორუმებში, ფესტივალებში, ღონისძიებებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა, ასევე აჭარის რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების წარმოჩენის მიზნით საზღვარგარეთის ქვეყნებში პრეზენტაციების, სამუშაო შეხვედრების და სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზება რეგიონის პოპულარიზაციის და ცნობადობის გაზრდის მიზნით. ასევე, სარეკლამო-საინფორმაციო და საპრომოციო მასალების გავრცელება, სარეკლამო-საინფორმაციო, გაცნობითი და გამოცდილების გაზიარებითი ტურების ორგანიზება საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

5.2.2. რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით

შიდა მომხმარებლებზე გათვლილი მარკეტინგული და სარეკლამო კამპანიის წარმოება;

შიდა ტურიზმის წახალისების მიზნით სარეკლამო-საინფორმაციო და გაცნობითი ტურების ორგანიზება;

სხვადასხვა სარეკლამო საშუალებით რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება და



ტურიზმის სტიმულირება ქვეყნის შიდა ბაზარზე; სხვადასხვა ღონისძიების, წარმოდგენის, შოუების, ინსტალაციების, ფესტივალების და სხვა პიარაქტივობების ორგანიზება შიდა ტურიზმის სტიმულირების, ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციისა და მოგზაურობის წახალისების მიზნით.

5.2.3. რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის საჭირო მასალების დამზადება სარეკლამო-საინფორმაციო პროდუქციის მომზადება და გავრცელება.

5.3. ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება

რეგიონის ტურისტული პროდუქტების განვითარება და მომსახურების ხარისხის ამაღლება.

რეგიონში არსებული ტურისტული პროდუქტების განვითარება და ახალი პროდუქტების შექმნა.

ტურიზმის დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის განვითარება და ტურიზმის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

ტურისტული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

სრულყოფილი ინფორმაციითა და ხარისხიანი მომსახურებით ტურისტების უზრუნველყოფა.

5.3.1. სრულყოფილი ინფორმაციითა და ხარისხიანი მომსახურებით ტურისტების უზრუნველყოფა

ტურისტული საინფორმაციო ცენტრების თანამშრომლების გადამზადება;

ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;

ტურისტულ-საინფორმაციო ცენტრების მოდერნიზაცია-განახლება;

საერთაშორისო ტურისტულ ორგანიზაციებში გაწევრიანება;

სოფლის ტურიზმის თემატიკის საერთაშორისო გამოფენებში, კონფერენციებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

5.3.2. ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია

არსებული ტურისტული პროდუქტების განვითარება და ახალი ეკო და სოფლად ტურისტული პროდუქტების შექმნა.

სხვადასხვა სეზონური ღონისძიების (კონფერენციების, ფესტივალების) ორგანიზება.

ახალი ტურისტული მარშრუტების იდენტიფიცირება და მათი მარკირება; ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტირება და მოწყობა-მშენებლობა, ტურისტული მასალების ბეჭდვა; გაცნობითი-სარეკლამო ტურების და აქტივობების ორგანიზება.

5.3.3. ტურიზმის დარგში სერვისის განვითარების ხელშეწყობა

რეგიონის ტურიზმის დარგის წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების მხრივ არსებული საჭიროებებისთვის მიზანმიმართული ტრენინგების დაგეგმვა და განხორციელება.

ტურისტულ ობიექტებში მომსახურების ხარისხის რეგულარული მონიტორინგი და შეფასება.

ღონისძიებების, მასტერკლასების, ექსპედიციების და სხვადასხვა აქტივობის ორგანიზება მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით.

საინფორმაციო ბროშურის შექმნა-დამზადება, ვიდეორგოლების დამზადება მომსახურების ხარისხის ამაღლებისათვის.

ტურიზმის ინდუსტრიაში წლის საუკეთესო სერვისების მიმწოდებელი ობიექტების დაჯილდოება.

5.4. რეკრეაციული ადგილების მოვლა-შენახვა

მოსახლეობისა და დამსვენებელთა გაჯანსაღების, დასვენების ეფექტური პირობების უზრუნველყოფისათვის საკურორტო ინფრასტრუქტურის შემდგომი გაფართოება. ბულვარის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. დასვენებისა და ტურიზმის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პირობების შექმნა.

5.5. მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა

აჭარის რეგიონში ტურისტული საქმიანობით დაკავებული პირების ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, კომერციულ ბანკსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2023 წლის 6 ივლისის №58 განკარგულებით განსაზღვრულ – მსესხებელთა რეესტრის წევრებს (ბენეფიციარებს) შორის გაფორმებული სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში ბენეფიციარის მიერ აღებულ სესხზე დარიცხული პროცენტის თანადაფინანსება. სამინისტროს მიერ გადასახდელი თანადაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს სესხზე დარიცხული პროცენტის 12%-ს.

6. ინფრასტრუქტურის განვითარება

აჭარის ტერიტორიები გამოირჩევა სხვადასხვა ტიპის ურბანული განვითარებით. რეგიონი ხასიათდება როგორც შავი ზღვის სანაპირო ზოლის, ასევე შიგამთიანი და მაღალმთიანი ლანდშაფტითა და შესაბამისი ხასიათის დასახლებებით.



რეგიონის მდგრადი და ჰარმონიული განვითარების უზრუნველსაყოფად ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გამართული ინფრასტრუქტურის შექმნა, მოვლა და მისი განვითარება. გამართული საგზაო, ნაპირდაცვითი და საინჟინრო-კომუნალური ინფრასტრუქტურის შექმნისადმი ხელშეწყობა დარგში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. 2005 წლიდან დღემდე ჩვენს რეგიონში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საავტომობილო გზების ნუსხიდან არაერთ საავტომობილო გზას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს ბევრი საავტომობილო გზა, რომელიც საჭიროებს აუცილებელ სარეაბილიტაციო ღონისძიებებს. შესაბამისად, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნებისა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით საჭიროა გზების კეთილმოწყობა, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა, მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესება, რაც საზოგადოებისათვის ეკონომიკური აქტივობების გაზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის

6.1. საავტომობილო გზების მართვა

საავტომობილო გზების სისტემების ფუნქციონირების ორგანიზება, მართვა, ტექნიკური ზედამხედველობა და კონტროლი.

6.2. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, საგზაო კომუნიკაციების და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა, მოდერნიზაცია, განვითარება. გენდერული ასპექტების გათვალისწინებით თანაბარხელმისაწვდომი საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა.

6.2.1. გზების რეაბილიტაცია

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებითა და ინტერესების დაცვით გზებზე უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფა, საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა.

გენდერული ასპექტების გათვალისწინებით თანაბარი შესაძლებლობის პრინციპის დაცვა, ქვეპროგრამის დაგეგმვის პროცესში ქალებისა და კაცების თანაბარუფლებიანი ჩართულობა, თანაბარხელმისაწვდომი საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა.

6.2.2. ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია

ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

6.2.3. საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფა.

6.3. საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაუჭრელი საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის პროექტების განხორციელება, რომელთა მიმართ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და რომელთა გადაწყვეტა უზრუნველყოფს ურბანული, ინფრასტრუქტურული და სოციალური საკითხების მოგვარებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში მაღალმთიანი დასახლებების გაზიფიკაცია. შუახევი (ხიჭაურის დასახლება) - გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთზე საშუალოწნევიანი გაზსადენის მშენებლობა.

7. ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროს ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო დებულების, დასახული პრიორიტეტისა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მშენებლობა/რეაბილიტაციას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით ატარებს კონკურსებსა და ოლიმპიადებს, მონაწილეობს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში, აფინანსებს სტუდენტებს, ხელს უწყობს ახალ მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების ფორმირებას, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. ახორციელებს სპორტულ ღონისძიებებს, რაც მიზნად ისახავს რეგიონში ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობას და გაუმჯობესებას.

7.1. განათლების მართვა, სპორტის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე განათლების და სპორტის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება მიზნად ისახავს გამოავლინოს განათლების და სპორტის სფეროებში გამოწვევები და მათზე რეაგირებისთვის დასახოს პრიორიტეტები და განახორციელოს ის ღონისძიებები, რომლებიც დაეხმარება და ხელს შეუწყობს მათ განვითარებას და



პოპულარიზაციას.

7.2. განათლების ხელშეწყობა და ხარისხის გაუმჯობესება

განათლების და სპორტის სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და სპორტის სამინისტროს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში ხელშეწყობა.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში კონტროლი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების, სტანდარტების და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შესრულებაზე მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

საინფორმაციო ბანკის შექმნა სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-საგანმანათლებლო, სკოლისგარეშე სასპორტო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების შესახებ;

ხელშეწყობა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებისა და პროგრამების, მათ შორის, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტისა და პროგრამის პილოტირებას, დანერგვასა და მონიტორინგს;

7.3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინვენტარით აღჭურვა და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა ხელს შეუწყობს სამუშაო და სასწავლო პირობების გაუმჯობესებას, უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნას ზოგადი განათლების მიღებასა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას.

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინვენტარით აღჭურვა, რაც დღემდე ეტაპობრივად ხორციელდება.

საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

7.3.1. საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

საჯარო სკოლებში სამუშაო და სასწავლო პირობების გაუმჯობესება და მოსწავლეებისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა.

35 საჯარო სკოლის შენობის/სპორტული დარბაზის მშენებლობა, 81 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, 79 საჯარო სკოლის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

7.3.2. საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული 20 საჯარო სკოლა აღიჭურვება სასკოლო ინვენტარით, 20 სკოლა აჭარაში აღიჭურვება ტექნოლოგიებით, არანაკლებ 10 სკოლა აღიჭურვება სასკოლო ლაბორატორიით, 30 საჯარო სკოლა მიიღებს სპორტულ ინვენტარს (ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის კომპლექტი, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის აღჭურვილობა, სხვ.) საჭიროების მიხედვით, 5 სკოლა აღიჭურვება მუსიკალური ინსტრუმენტებით (პიანინო, გიტარა, დასარტყამი და სასულე ინსტრუმენტები და სხვ.), რემოდელირებული იქნება 11 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა და შეძენილი იქნება 6 პროექტი, განხორციელდება 5 საჯარო სკოლის სახელოვნებო სივრცეების რემოდელირება/აღჭურვა.

7.3.3. საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა

საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის გაზრდა. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის (განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში) და მოსწავლეთა უსაფრთხოდ გადაადგილების პრობლემებმა (დიდი მანძილი, ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, ტყიანი ადგილები სოფლებში, სადაც გარეული ცხოველების საშიშროებაა, მდინარეებზე გადასასვლელები და ა.შ.) წარმოშვა მათი საცხოვრებელი ადგილიდან სკოლამდე ტრანსპორტით გადაადგილების საჭიროება.

ამასთან, აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსწავლეები, რომელთაც აღენიშნებათ განვითარების შეფერხება, სენსორული, ქცევისა და ემოციური დარღვევები, საჭიროებენ ტრანსპორტირებას ქუთაისის შესაბამის სკოლებში (სკოლა-პანსიონი), რომლებიც ახორციელებენ სპეციალურ პროგრამებს ყრუ და სმენადაქვეითებული მოსწავლეებისათვის.

7.4. აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ოთხ უმაღლეს სასწავლებელზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელშეწყობა, უმაღლესი პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.



7.5. საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურება, გაძლიერებული (ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საპანსიონო მომსახურების დაწესებულებების შენობების მოვლა-შენახვის მომსახურება.

ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული, ინტენსიური შესწავლა თანამედროვე, საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდებით.

ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობის გამო სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად შესაბამისი პირობების შექმნა.

7.6. ზოგადი განათლება

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწავლის ხარისხის ამაღლება და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა.

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრა და ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

სწავლისა და სწავლების მოტივაციის ამაღლება.

7.6.1. ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებისათვის კონკურსის წესით შეირჩევა და დასაქმდება არაუმეტეს 30 მასწავლებელი.

წარმატებული მასწავლებლების წახალისება.

250 მასწავლებელი მხარდაჭერილია ინოვაციური პროექტების განხორციელებაში.

7.6.2. კონკურსები და ოლიმპიადები

განათლების ხარისხის ამაღლება. მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის გაზრდა.

სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნება, სასკოლო კლუბების მხარდაჭერა, სასკოლო ბიბლიოთეკების მხარდაჭერა, სახელოვნებო სივრცეების მხარდაჭერა, სასკოლო თეატრალური დასებისა და მუსიკალური ბენდების მხარდაჭერა, აგრარული განათლების პოპულარიზაცია, მოსწავლეების ჩართულობა სხვადასხვა სასკოლო აქტივობებში - ოლიმპიადები, კონკურსები, ლიტერატურული მარათონი და სხვ. და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება. საგანმანათლებლო/შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსება საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ორგანიზებულია 10 საზაფხულო სკოლა.

7.7. უწყვეტი განათლება

ქართული, აფხაზური და უცხო ენების, TOEFL-ის გამოცდისათვის მოსამზადებელ კურსებზე სწავლა, კომპიუტერული უნარ-ჩვევების შესწავლა, ასევე უსინათლოთათვის და შშმ პირთათვის კომპიუტერული უნარ-ჩვევების შესწავლა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლება, სკოლის ადმინისტრაციისა და კლასის დამრიგებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

7.8. პროფესიული და უმაღლესი განათლება

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწავლის ხარისხის ამაღლება და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა.

7.8.1. სტუდენტთა დახმარება

დაფინანსდება სხვადასხვა კატეგორიის საშუალოდ 1 200 სტუდენტის სწავლა.

7.8.2. უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

მოეწყობა საშუალოდ 6 კონფერენცია, საშუალოდ 3 სეზონური სკოლა, ითარგმნება/დაიბეჭდება საშუალოდ 2 უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა, მოეწყობა საერთაშორისო კონფერენცია – ადრეული განათლება და ზრუნვა, ჩატარდება სტუდენტური ფორუმი.

7.8.3. ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა

დაფინანსდება ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულების საშუალოდ 70 ბენეფიციარი.

მხარდაჭერილია საშუალოდ 300 წარჩინებული სტუდენტი და საშუალოდ 350 50%-70%-100% გრანტის მფლობელი პირველი კურსის სტუდენტი.

7.8.4. სწავლა საზღვარგარეთ

სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, შვეიცარიაში და ნორვეგიაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მეორე/მესამე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო



პროგრამაზე, ასევე პირს, რომელიც ჩაირიცხება პოსტსაბაკალავრო/პოსტსამაგისტრო სახელოვნებო პროგრამაზე. საშუალოდ 100 დაფინანსება გაიცემა საზღვარგარეთ სწავლის მიზნით.

7.8.5. უცხოეთში სტაჟირება

18-დან 35 წლის ასაკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არანაკლებ ერთი წლის მანძილზე რეგისტრირებულ საქართველოს საშუალოდ 10 მოქალაქე სტაჟირებას გაივლის ევროპის რომელიმე ქვეყანაში და აჭარის რეგიონში მიღებული იქნება საშუალოდ 10 უცხოელი სტაჟიორი.

7.8.6. პროფესიული განათლების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე განთავსებულ საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული 20 მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლება/სტაჟირების გავლა ან მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში.

დაფინანსდება ერთი საგანმანათლებლო ღონისძიება.

7.9. სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა

ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში, მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება.

8. კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო დებულების, დასახული პრიორიტეტისა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს კულტურული ცხოვრების განვითარებასა და მოსახლეობის უზრუნველყოფას სხვადასხვა კულტურული აქტივობით, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარებისა და ცნობიერების ამაღლებისათვის. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად „სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე“. საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“ აკისრებს სახელმწიფოს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურის მონაპოვართა ხელმისაწვდომობას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა საყოველთაო აღიარებას, საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებასა და გაფართოებას, შემოქმედებით ინტეგრაციას.

აჭარის რეგიონი გამოირჩევა კულტურული რესურსების, ფესტივალებისა და სხვა კულტურული აქტივობების მრავალფეროვნებით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ფოლკლორის უნიკალური ნიმუშებით. სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია ხელი შეუწყოს რეგიონში ერთიანი კულტურის პოლიტიკის გატარებას, კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციას, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ფოლკლორის დაცვა-შენარჩუნებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო ხელს უწყობს სახელოვნებო განათლებას, ახორციელებს კულტურულ ღონისძიებებს, რაც მიზნად ისახავს რეგიონში კულტურული ცხოვრების ხელშეწყობას და პოპულარიზაციას.

8.1. კულტურის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე კულტურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება მიზნად ისახავს გამოავლინოს გამოწვევები და მათზე რეაგირებისთვის დასახოს პრიორიტეტები და განახორციელოს ის ღონისძიებები, რომლებიც დაეხმარება და ხელს შეუწყობს კულტურის სფეროს სხვადასხვა მიმართულებების განვითარებას და პოპულარიზაციას.

8.2. ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, მომავალი თაობებისთვის გადაცემის უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობა.

8.3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია

სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების გზით ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული კულტურული ძეგლების დაცვა და შენარჩუნება, ასევე არსებული მუზეუმების რეაბილიტაცია, პოპულარიზაცია და სამუზეუმო ქსელის გაფართოება.

8.4. მუზეუმებისა და გალერეების განვითარება

სამეცნიერო-კვლევითი, საექსპოზიციო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა თანამედროვე



მოთხოვნათა შესაბამისად;

მუზეუმებში ფართო საზოგადოების მოზიდვის ხელშეწყობა.

8.5. სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა

სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობის მიზნით აჭარის კულტურის სამინისტრო უზრუნველყოფს სასცენო, სამუსიკო და თეატრალური ხელოვნების სფეროში პოლიტიკის განხორციელებას, განვითარების ხელშეწყობასა და პოპულარიზაციას. ასევე სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების განვითარებას; აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების გასტროლებს, უცხოური დასების აჭარაში მიღებას და სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

8.6. ლიტერატურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა

ქართული მწერლობისა და სალიტერატურო ცხოვრების განვითარებისათვის ხელშეწყობი პირობების შექმნა.

8.7. კულტურის ხელმისაწვდომობა და პოპულარიზაცია

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის გაზრდა, შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა და კულტურის პოპულარიზაცია.

8.8. შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობა

აჭარის რეგიონში მოღვაწე კულტურის და სახელოვნებო სფეროს წარმომადგენელთა შემოქმედებითი განვითარების, ევროპული გამოცდილების გაზიარების, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული ზრდის და ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა; აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, ახალგაზრდა პოეტების/მწერლების მხარდაჭერა, კულტურის სფეროს წარმომადგენელთა მხარდაჭერა.

8.9. სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

სკოლისგარეშე სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა;

სახელოვნებო განათლების ხარისხის ამაღლება და კულტურისა და ხელოვნების სფეროს კვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფა;

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და ამოქმედების ხელშეწყობა;

სახელოვნებო-საგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეების მხარდაჭერა სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის გზით.

9. სპორტის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სპორტის სფეროში, კომპეტენციის ფარგლებში, ხორციელდება რეგიონში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა.

სპორტის განვითარება რეგიონში ნიშნავს, რომ სპორტში ჩართულ ახალგაზრდებს უჩნდებათ კონკრეტული სპორტის სახეობის მიმართ ინტერესი, რაც ახალგაზრდების ფიზიკური ჯანმრთელობის სრულყოფას, მათ პოპულარიზაციას როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე უწყობს ხელს.

9.1. სპორტის სფეროს მართვა

სპორტის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

9.2. სპორტის ხელშეწყობა

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება და ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული გამოსვლა.

სპორტის სფეროში დაფინანსდება საერთაშორისო და ადგილობრივი რანგის ტურნირები, შეჯიბრებები, სასწავლო-საწვრთნო შეკრებები და საქართველოს ჩემპიონატებში ასაკობრივი აჭარის გუნდებისა და სპორტსმენების მონაწილეობა. წლის განმავლობაში, მიღწეული შედეგების მიხედვით, დაჯილდოვდება წარმატებული სპორტსმენები, მწვრთნელები, ფედერაციები, ჟურნალისტები და ვეტერანი სპორტის მოღვაწეები.

სპორტის ცალკეულ სახეობებში მიღწეული წარმატებებისათვის სპორტსმენთა, ვეტერან სპორტსმენთა და მწვრთნელთა მატერიალური წახალისება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენთა და მწვრთნელთა ცხოვრების ეკონომიური და სოციალური პირობების გაუმჯობესება.

